



ნიც ბევრს მცოდნე პირებს „გადარეულ“ პირობებში მიანიჭათ. მე აქაურად ადგილობრივი მდგომარეობა და საქმის სიძნელე კარგად ვიცი, და ამიტომ ჩემი აზრით უფ. ამბატუნი შესტარება: საჭიროა ეხლავე მივიღოთ უფ. რუკოს წინადადება.

5. ა მ ა ტ უ ნ ი: რაკი ერთი კამპანია დათანხმდა უფარანტიოთ საქმის აღებაზე, რატომ სხვებსაც ხელს არ მისცემს ამნაირივე პირობის დადება? ამას გარდა ის პირობა, რომელსაც თქვენ უფ. რუკო გვადებინებს, ათასი ფარანი უნდა ხარჯოთ უსათუოთო, გვარნიან გარანტიას წარმოადგენს მისთვის, რადგინ ამით ქალაქი კისრულობს წვლილად იმ ორი ათასი თუმანი მანც აქლიოს კამპანიას.

თ ა ე მ ჯ ლ ო მ ა რ ე: ჩვენ საქმეა ცნობები არა გვაქვს და არც გვექნება, რომ ნამდვილად ვიცოდეთ ჩვენი მოთხოვნები, საჭიროება და სარგებლობა. რა საბუთებით ვადაწვევთ უფ. ამბატუნს, რომელი კამპანიის წინადადება უფრო სასარგებლო იქნება ქალაქისთვის, როცა მსურველები აღმოჩნდებიან?

6. ა მ ა ტ უ ნ ი: იმავე საბუთებით, როგორც ეხლა თქვენ ვადაწვევთ, რომ რუკოს წინადადება უფრო სასარგებლოა, ვინცმ ბერსევერის და ბოლახოვის ფასის და პირობების ერთმანერთთან შედარება, მეტნაკლებობის გამოანგარიშება და გამოარცხება.

უფ. ე ვ ა ნ გ უ ლ ო ვ ი: რა ნამდვილი სარგებლობა ექნება გავხეობით მსურველების გამოწვევას? რომელი კაპიტალისტი მოვა გამოწვევით, თუ საქმის ანგარიშები არ მივეციტ ხელში, და ანგარიშების საშოვნელათ ხომ გამოკვლევის დანიშნა საჭიროა. მისში ჩვენმა გაგებობამ ვადაწვევით უარი თქვა გამოკვლევისთვის ფულის და ხარჯვაზე. მაშ თუ ეხლა ვადაწვევით, რომ გავხეობით გამოვიწვიოთ მსურველები, ისიც უნდა ვადაწვევით, რომ გამოკვლევა მოვახდინოთ და ხარჯი გავწიოთ.

6. ა მ ა ტ უ ნ ი: ეს საქმე მისივე ვადაწველა და ეხლა მისი ხელმოწერით გასაწვება აღარ შეიძლება. ქალაქს არ უნდა ხარჯის გავწევა, იმას უნდა მართლ გავხეობით გამოვიწვიოთ მსურველები და თუ კი რუკოს კამპანიამ უანგარიშებოთ წარმოადგინა თავისი წინადადება, სხვებიც მოიქცევიან აგრეთვე, მით უფრო რომ კამპანიებში ჩვეულებათა წინათვე იქონიონ საზოგადო ანგარიშით დაფასება რომელიმე საქმისა, ნამდვილი და მტკიცე ცნობებიც რომარ ჰქონდეს ხელში.

უფ. ბ ე რ შ ე ლ მ ა ნ ი: გაქვთ თუ არა, უფ. თამჯღომარე, რამე ცნობები ამ კამპანიის საფუძვლიანობაზე?

თ ა ე მ ჯ ლ ო მ ა რ ე: ღახ! ამავე კამპანიას აღებული აქვს ქ. ანტერაზეში გაზის და წყლის გაყვანა. მე მივწერე ანტერაზენის თავს (ბურგომისტრს ამ ამავეის თაობაზე წიგნი, და იმან მიპასუხა, რომ ჩვენი გაზისა და წყლის საქმე უფ. დიკოვს აქვს აღებული. როცა ეს მე რუკოს კამპანიას შევატყობინე, პასუხი მივიღე რომ უფ. დიკოვი ჩვენი ინჟინერია. ამასთანავე მე უნდა წაგკითხოთ უფ. რუკოს წიგნი, რომელიც ამ მოკლე ხანში მივიღე.

უფ. ხ ი თ ა რ ო ვ ი: კითხულობ რუკოს წიგნს, რომელშიაც სწორია, რომ არ შეიძლება ამ საქმის დაგვიანება, ამდენი ხანია კამპანიას ფული შენახული აქვსო, ასე დიდ ხანს არ მოიცდისო, და ჩემი პირობა ეხლავე თუ არ მიიღეთ მერე გვიან იქნება, ჩვენ მაშინ იქნება უარიც ვთქვათო.

6. ა მ ა ტ უ ნ ი: ამ წიგნშიც ვაუგებარია ბევრია: თუ კამპანია სალია, ის ორი სამი თვის გულიხა ხეირიან საქმეს ხელს როდელ შეუშვებს, და ფული მის ეხლავე შენახული არ უნდა ჰქონდეს: მიიღებს თუ არა ის ჩვენ პირობას, ის მაშინ გამოუშვებს აქციების და ფულის მართლ მაშინ შეკრებს. მე გგონია, რომ ეს წიგნი რუკოს ჩვენი შესაზინებლათ მოუწერია.

ლ ო კ ტ ო რ ი ა მ ი რ ო ვ ი: უფ. ამბატუნი ამბობს, რომ ჩვენ დიდი პასუხის გეგმობას ვკისრულობთ შთამომავლობის წინაშე. მაგრამ რა პასუხის გეგმობას ვკისრულობთ? ძარვ წყალს რომ ვაძლევთ, ცუდის მაგიერ? მეექვსედ კაპეის რომ ვწესებთ ეხლანდელი კაპეის მაგიერ თითო ვედროში? მანა სასარგებლო იქნება ქალაქისთვის ხელიდან რომ გავშვებთ ამისთანა სასარგებლო წინადადება? ჩემის აზრით სჯობს თამჯღომარეს მივანდოთ, მოვლაპარაკოთ რუკოს, შევეპროს, იქნება ორი თუმნის მაგიერ თითო ფარანში ცხრამეტ მანეთათ დათანხმდეს. მე ველაპარაკებ მე დიკურს სარგებლობის მხრით. მხლა ბევრი მცხოვრებელი საზოგადოებოთ ქალაქს გარეთ გადაიან, ავარაზე საცხოვრებლათ, რაზ

განც აქ სიტყვა, და წყალს რომ გავიყვანთ ავარაზე როდელა ვინმე წავა, ყველა ქალაქში დარჩება. რუკოს კამპანია ჩვენს ქალაქს ამდირებს: ირმოცდა თუთხმეტი წლის შემდეგ ქალაქს უფაოთ ისეთი გაწყობილება დარჩება, რომელიც წელიწადში რამდენიმე ასი ათასი მანეთის შემოსავლის მისცემს, მაშ რათ გადავდეთ საქმე, ეხლავე მივიღოთ უფ. რუკოს წინადადება.

6. ა მ ა ტ უ ნ ი: მე წყალს გაყვანის სარგებლობას როდელ უარყვით: ეს დიხს სასარგებლო და საჭირო საქმეა. მაგრამ ჩვენ სულ სხვაფერად ვაგვისჯვით საქმეაგრეთვე სასარგებლო თუ არა უფ. რუკოს წინადადება, შესაძლებელი თუ არა უკეთესი პირობების შოვნა, უფრო სასარგებლო და მოვლენიანი მორიგების მიღება. ქალაქს ვაწყობილება დარჩება, რომ ამბობთ, ვინ იცის როგორ მდგომარეობაში დარჩება ეს განწყობილება, რომდენი გასასწორებელი რემონტის ხარჯი დასჭირდება ამ სხვ. ამას გარდა რუკოს კამპანია ხომ საჩუქარს არ გვაძლევს: ის ირმოცდა თუთხმეტი წელიწადში თავის დანახარჯს თავს და მის სარგებელს მოგვბოძავს მიიღებს და მერე ჩვენი ფულით გადახდილი ვაწყობილება ჩვენ დაგვირჩება. ამირებული არ იქნება, კაცმა რომ საჩუქრათ მიიღოს პრიკაზიდან იმ სახლის გათავისუფლება, რომლის თავნი და სარგებელი იმას პრიკაზისთვის წერილ-წერილათ გადაუხდია?

თ ა ე მ ჯ ლ ო მ ა რ ე: რაკი მეტს არავის სურს ამ საქმეზე ლაპარაკი, მე კენჭს ვყრი კითხვაზე: გამოვაცხადოთ თუ არა ვაგხეობით მსურველების გამოწვევა. თუ უმრავლესობამ გამოცხადება ვადაწვევით, ეს იმას ნიშნავს, რომ ექვსი თვის ვადით უნდა გადაიდგას ამისთანა მშენიერი და სასარგებლო საქმე, მაშინ როდელსაც თითოეული დღე ძვირია, რადგანაც ჩვენ ეხლა თითო კაპეის ვადლევი ვედროში. თუ კი არ დათანხმდა გამოცხადებაზე მაშინ ეს იმას მოასწავებს, რომ ჩვენ უნდა შეუდგეთ უფ. რუკოს წინადადების განხილვას და გასჯას.

ამნაირათ დაყენებულ კითხვაზე კრებამ აი როგორ ჰყარა კენჭი (ოცდა ხუთმა კენჭმა ისურვა ვაგხეობით გამოწვევა მსურველებისა, ოცდა ექვსმა კი—გამოცხადებლათ შედგომა უფ. რუკოს წინადადების განხილვისა.

მაშასადამე საქმე იმითი ვადაწველა, რომ მართლ უფ. რუკოს წინადადება უნდა განიხილოს გამგებლობამ

აი შემოკლებული აწერილბა იმ სხდომისა, რომელზედაც ეს საქმე ვადაწველა შედგებ რომერში „დროება“ დაათვაყეს ამ საქმის წაყენას და თავის შეხედულებას გამოთქვამს ამ საქმის წაყენაზე.

6. სკანდელი

— წარსულ პარსკეს (ოქტ. 19) თფილისელი თეოდანზაურობის წინამძღოლის სახლში მოხდა კერპობითი შეკრებილება ჩვენებური ევენახის პატრონებისა, იმ მიზნით, რომ იმით საერთოთ გამოცდებნათ საშეღებლად ჩვენში ევენახის ავთოყოფობის მოსასაზობლათ. ამ შეკრებილებზე, თითო მეპატრონებს გარდა, ბევრი მცოდნე კაცებიც იყვნენ მოწვეულნი, და მათი ხანგძროლივი მოლაპარაკება ევენახის ავთოყოფობაზე იმით დამოლოდდა, რომ ყველა ევენახის მეპატრონეებმა თანხმობა გამოაცხადეს ხარჯს არ შეუშინდენ და ყოველი ოღის ძიება იმპარონ ამ საზარელი ავთოყოფობის მოსასაზობლათ. სხვა და სხვა საშუალებებთ შუა ამ კრებაზე განსაკუთრებით ყურადღება მიიქცია პატრონის როზის და დოქტორის ზუბალოვისადგამ მომგონებულმა წამლებმა, და კრებამ კიდევ ვადაწვევით, აქაურ სამეურნეო საზოგადოებას ეთხოვრათ, რომ იმან ექსპერტები დანიშნოს გაისათ ამ წამლების საფუძვლიანათ გასასინჯველათ, და თუ ისინი სასარგებლონი აღმოჩნდენ, მაშინ ევენახის მეპატრონეებმა გამოგონებლისადგან მისი საშუალება უნდა იყიდონ და დაარიგონ. ნამდვილათ არ ვიცით, მაგრამ გგონია კი, რომ ამ საგანზე ზოგიერთ ევენახის-მეპატრონეებს კიდევ მოულოაპარკნიათ უფ. ზუბალოვთან და ფსიც ვადაწვევით, თუ რამდენი უნდა მისცენ იმას ერთმანათ მისგან გამოგონებულ საშუალებისთვის, ვინცდაცა თუ ეს საშუალება ნამდვილათ სასარგებლო გამოდგა ხეირიანი გამოძიების და გამოცდის შემდეგ.

ჩვენს მკითხველებს ეს საშუალება ცოტა ოღნათ მანც უნდა ახსოვდეს. უფ. ზუბალოვისადგამ გამოგონებულ წამლებს „დროებაში“ ცნობა იყო დაბეჭდილი 1870-ში.

— ბაქოს რკინის გზის გამოკვლევისთვის დაუნიშნაეთ ინჟინრები უფ. მ ა ლ ე ვ ს კ ი

და ბ ე ბ უ თ ო ვ ი. ისინი ამ მოკლე ხანში კიდევ შეუდგებიან ამ გამოკვლევისა.

— უფ. სტატკოვსკის გაუთავებია ამ გზის გამოკვლევა, რომლითაც იქნება გაატარონ რკინის გზა მლადიკავაზიდან თფილისამდე.

— ჩვენ ნამდვილათ შევიტყუეთ, რომ მარტივად სასულიერო შკოლის საქმე (რომელზედაც „დროების“ წარსულ ნომერში უფ. აკაკი იწერებოდა, რომ მათთანავე ვადაწვევას აპირებენ) საბოლოოთ ვადაწვევით და შკოლის გასამართავი სახლები კიდევ უქრავნათ მათთანში.

— ბეჯითად ვიცით, რომ პირველ ნომერამდის მათის ბიბლიოთეკა და საკითხავი კაბინეტი გაისხნებოდა. ეს საქმე უკისრნია უფ. ანტ. ლორთქიფანიძეს, რომელსაც ამ მოსაწონი საქმის დაწყებისათვის საზოგადოების სრული თანაგრძობა უნდა ეკუთვნოდეს.

— წარსულ ნომერში ჩვენ გამოვთქვი სურვილი, რომ კარგი იქნებოდა, ჩვენებური წარმოდგენების გამართვლებს სომხებისთვის წაებათ და საზოგადოების წინ წარმოდგენების შემოასავალ-გასავლის ანგარიში გამოეცხადებინათ და ამასთანავე ეცნობებინათ, თუ რაზედ დიხარჯა ნაღდი შემოსავალი. მა ჩვენი სურვილი დღესაც უნდა განვიგროთ, რადგანაც ამ წლის დასაწყისში გამოცხადებულს მოთხოვნაზედ „დროებაში“ შეპირების მეტი ჯერჯერობით ვერავფერი გამოიწვია. შამარხილესად ეთხოვთ იმ ერთ მოთავეთგანს, რომელმაც „დროების“ მეთორმეტე ნომერში წარმოდგენაზედ შეკრებილი ფულების ანგარიში შეპირდა საზოგადოებას, გამაცხადოს ეს ფულების ამბავი. მეგონებდროც იყოს მეთორმეტე ნომერს აქედ დღეს მეოცდა ათე ნომერი იბეჭდება

„დროების“ კორექსიონდენია

(სურგეთი, 25 სექტემბერს 1874 *)

ღიადაც, ჩვენი მასწავლებლების მდგომარეობა და სოფლის შკოლების წყობილობა ისრე ცუდით არის, ხალხისთვის უსარგებლოთ, შნიძლება ეთქვათ, კიდევაც მიწებელია, როგორათაც წინეთ ავწერეთ. მინ უარს ყოფს განათლებას, ვინ არ იცის, რომ განათლება საჭიროა კაცობრიობისთვის, როგორც დამშეულისთვის ლუკმა პური? ეს მეტად საჭიროა და ღოდნი არ გვეკირიან, რადგანაც უამისოთაც საფიქრებელია, რომ დრო წაგეჯირგალებს; სინამდის ვუცადოთ, რომ ჩვენმა პრინციპმა მილიონი სტერლინგები ანდრძით შესწიროს შკოლებს, სინამდის ველოდეთ, ვგებ ვინმემ ნუიორკის აკადემია ვაგვისხნას! სულ ესეები შორს არის და ნურც ესაჭიროებთ მასში, ჩვენ მოვიხმაროთ ის, რაც გვაქვს და მეტია ნატერა, ლოდინი..

რაკი გლეხების განთავისუფლება მოხდა ჩვენში, ჩვენმა ახალგაზღბამ ერთი ხნით შეკიეღეს დაბალს ხალხს: აბა, ძმანებო, შკოლები, მალაზინები, ბანკები..

დაბალი ხალხმა დაუყოვნებლათ დააშენეს შკოლები, მაგაზინები. დღემდისაც მიყრილ-მოყრილია აქა-იქ სოფლებში მაგაზინები და შკოლებიც, მაგრამ შკოლაში არა ვინ არის და მაგაზინებში არა ფერი აწყვია, გლეხობა კი იმნარსევე მდგომარეობაშია, თითქმის უარესში, ვიდრე ცხრა წლის წინეთ იყვნენ.

წინა წერილში ჩვენ შევიტყუეთ ა) მასწავლებლები არ გვეყოლია, ბ) მამასხლისეები არ ასრულებენ თავის მოვალეობას წესიერათ, მაშასადამე მომრიგებელ შეამდგომლები ყურადღებას არ აქცევენ. რაც შკოლებზედ არის ნათქვამი, თითქმის ისევე ითქმის მაგაზინებზედ, რომ მამასხლისებს ზოგს არ ესმის, თუ როგორ წაიყვანოს მაგაზინის საქმე, ზოგი კი უნამუსოთ ეპყრობიან ამ მონდობილებას. მინც უნდა იყოს მიხეზი, ანუ რაც უნდა იყოს, ჩვენ ნათლათ

* ნახე „დროება“ 1873, № 34.

ვხედავთ, რომ არც შკოლის საქმე მიდის კარგათ და არც მაგაზინების. თუ კი ბუჩოკი ეს აგრეთ, სადაც ხალხმა უმეტესი სურვილი გამოიჩინა ამების კარგა დაფუძნებისთვის, მაშ რა უნდა ეთქვათ სხვა მაგაზინებზედ და სხვა გუბერნიებზედ? ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ამების შემოღება უდროო ყოფილიყოს, ვერც იმას, რომ ესენი არ აღუზრდებენ ხალხის ცხოვებას, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, ჯერ რომ შკოლის საქმე წასულიყო კარგათ, შემდგომ მოხდილი ახალგაზღობა და რამოდენიმეთ დამზადებული კარგათ შეითვისებდა ყველა მაგსასარგებლო საშუალებებს. ჩვენს გლეხს გაგონილი აქვს, რომ ბანკი, მალაზინი კარგი საქმეა, ძლიერ ეხმარება ხალხს ეკონომიურის მხრით, მაგრამ იმას არ ესმის რა არის ან ბანკი, ან მალაზინი. ისიც იცის, რომ არის რალაც სასარგებლო და რა არის, როგორ არის, ის კი არა ვინ იცის, ბურჟული არასოდეს არ შეცდება, რომ ღომი ახალ გატენილ ტყეში ანუ უყე ადგილზედ დათესოს, ის ყოველთვის სიმინდის შემდეგ ღომს თესავს; ამ შემთხვევაში ის სარგებლობას რიგრიგ თესლის შეცვლით, მაგრამ კი არ უფიქრნია, არც გრძნობს, თუ რა სარგებლობა მოაქვს რიგრიგ თესლის შეცვლას. უკეთ ეთქვათ, ის შრომის დროს მსჯელობაში არ შედის, მაგრამ პრაქტიკულათ რასაც შერება, ის დაფუძნებულია რომელიმე კანონის ძალაზედ. მისთვის კანონის შედგევი არსებობს მხოლოდ და არა კანონი. ეს ასრეა მისთვის რომ ხალხი გაუნათლებელია, ჯერ კიდევ მისი ტენიი არაფერზედ შეჩერებულა, მის ცხოვრებაზედ ნიავს ჯერ არ გარდებურავს და ძველი ადამის წლის შმორი, სიმყარე მდამიო გონება ისრე დაღაგებული როგორაც ექვსი საუკუნის წინეთ იყო. მოდი და მათ მოსთხოვეთ შკოლების და მალაზინების საქმე კარგათ დაარსონ.

შეუძლებელია, ჩემის სრულის დარწმუნებით და უაზრობაც იქნება. უწინ სანამდის სამხლერ გარეთის საქონელი შემოვიდოდა ჩვენში, ჩვენი ხალხი კმაყოფილდებოდა თავისი ნაწარმოებით, ის თავის მოქსოვილს დარაიას, შალს იცვამდა, ხარის ტყავს გაახმობდა და იმისგან თვითონვე შაკერამდა ჩუშტებს, წაღებს... რაკი სხვა ქვეყნებთან ერთობა გაჩნდა, ვაჭრებმა მოიტანეს: ჩითი, ნარმა, ტიქა, კარგი მალედი, კარგი გამძლე ტყავები... რაკი რომ ჩვენმა ხალხმა ნახა უფარვისობა თავისის და ვარვისობა უცხო ქვეყნის ფართლის, დაანება თავი (საჭიროების დაგვართ) შალის ქსოვას, დარაიას და იცვამს, იხურამს სულ სხვა შალებს, მალეებს, წაღებს... ეს შემთხვევა იმისგან კი არ მომხდარა, ვითომც ხალხს მოხალისებოდეს ტანსაცმელის გამოკვლა, ცხოვრების შეცვლა, ეს უაზრო სურვილი, უაზრო მიმართულება კი არ ყოფილა, ეს იყო სრული მათი მოთხოვნილება და შეუძლებელია არ დაკმაყოფილებულიყვნენ. აი, ამიტომ ძიიელ სასარგებლოა. ხალხების გაცნობა, ერთობა, ისინი ერთმანერთს აკვირდებიან, კარგებს უცვლიან ერთმანერთს და ცუდს სტოვებენ. რასაკვირველია ხალხების მიმოსვლა, ერთობა, გაცნობა ხშირათ მოთხოვნილების გამო მოხდება, მაგრამ ისეც ხშირია, რომ ხალხების ერთობის გამო მოთხოვნილება ჩნდება; როცა საქონელი არის იაფი, კარგი მრავალიც, ექვი არ არის, მყიდველი მრავალი გამოჩნდება; როცა დაეინახა, რომ შენი დაფქვილი პური გემოიანია, მეც ისრე დაეფქვებ, მეც ისრე დაემაზადებ პურს, ე. ი. მოთხოვნილებას დაკმაყოფილება მისდევს ნაწარმოებს—მყიდველი. ჩვენმა სასოფლო



ქვემოთაჲსი

შეკლებების და მავანების გამოკვლევამ მიგვიყენა იმ დასკვნამდე, რომ გაბედულად ვამბობთ, დაბალ ხალხში განათლების მიღება ჯერ მოთხოვნილებათ არ გადაქცეულა, ის ჯერ ფორმისთვის; არსებობს, ლიბერალობის გამო, ბრძანების გამო... ამნაირ საქმის წყობილებას სხვა წამალი ძნელად შეეწყება, გარდა იმისა რომ პრაქტიკულად გავაგებინათ, რომ სწავლა მიუცილებლად საჭიროა კაცისთვის, ეს აზრი იმათ კარგათ უნდა შეირგონ, ცხელ ღომსავეთ არ უნდა წვამდეს ყელს, სისხლში კარგათ უნდა გაუფუდეს, მოთხოვნილებათ უნდა გადაექცეს და მერმეთ უშენოთ დააკეთებენ, უშენოთ იშრომებენ... ამანაა ძალა, სარგებლობა და კარგი შედეგი. ამ მოსაზრების დასკვნა ეს არის, რომ უკიდურესი საჭიროება მოითხოვს რომ შეკლებს ჩვენ ეხსნიდეთ, ჩვენს ხელში იყოს მისი გამოგება... ამის პასუხათ რასაკვირველია ის ითქმის, რომ შეძლება არ არის და ყმაწვილობის რიცხვი ძრიელ მცირედი, ვინც არის იმათ ეს წერილმანი საქმე ვერ დასახუტრებს წესიერათ. მართალია, და იმატომაც ვებოტრებთ უკანასკნელს საშეკლებას, რომელიც, ჩემის აზრით, უფრო საიმედოა ვიდრე სხვა რამე. ჩვენში ერთი სოფელი არ მოიპოვება, რომ იქ ერთი, ორი, სამი ღედელი არ იყოს. მხლა ახალ წესდებულებით ყველა ღედელს სამრევლოდგან სარჩო ეძლევათ, მაშ მატერიალურათ ისინი მეტ-ნაკლებ დაკმაყოფილებულნი არიან, ისინი ძალა-უნებურათ ვალდებულნი არიან, სოფლის წერილმან (ამ დროის პრაქტიკულ კაცების აზრით) საქმეებით ცხოვრებდნენ, იმათ არა აქვთ შორს მოგოტრინან, არც გარემოება აძლევს ნებას და არც შესაძლებელია; მაშ ოცი თუმნის საქმე ისრეთი ძვირფასი და დასაფასებელი იქნება მათთვის, როგორც ეხლა ათასი თუმნის საჩივარი ჩვენი ადვოკატებისთვის. აი, ისინი რომ დამზადებულნი იყვნენ და ფასით შეკლებს დახსნიდნენ, განა ეს მათთვის საზიანო იქნება? ბოლები ეხლაც იხდიან შეკლისთვის ორ აბაზს, სამს, ზოგან მანეთსაც. მაშ გლეხისთვის სულ ერთია, გინდ ღედელია შეკლაში შეუტანია ეს ფული, გინდ სასოფლო შეკლაში. სარგებლობა იმიდგან ის არის, რომ ყოველი ღედელი ეცდება ბავშვს კარგათ ასწავლოს, ღედმა მათი კმაყოფილი გახდნ და ერთის წახედვით ბავშვის სიმრავლე ემატოს. ამნაირათ ეს ჩვენ დაგვაკმაყოფილებს მით, რომ სწავლის საქმე კარგათ წავა, ღედელს კი შემოსავალს მიუმატებს. ამასაც რომ კიდევ კონკურენცია დოუმბატოთ, რაც ადვილათ შესაძლებელია, ხომ კიდევ უკეთესია.

არ არის საეჭვო, რომ ეს ძრიელ სარგებლობას მოუტანს ჩვენს გაჭირებულ ქვეყანას, მაგრამ, საუბედუროთ, ჩვენი ღედლები ისრეთ მცირედი ცოდნის პატრონი არიან, რომ ეს ეხლა შოუძლებელია. ამისთვის კარგი იქნებოდა, რომ მართებლობა ყურადღებას მიაქცევდეს და შემდგომში მხოლოდ კარგათ პედაგოგიურ ნაწილში დამზადებულ პირებს აკურთხებდნენ მღედლათ. ეს შეუძლებელი სრულიადაც არ არის; საჭიროა მხოლოდ სასულიერო სასწავლებლებში ცოტადენი რეფორმები მოხდეს, სპეკიალური განყოფილება... ეს ადვილათ შესაძლებელია, სარგებლობას დიდს მოგეცემს, საჭიროება დიდა და სანატრელია, ამას ჯეროვანი ყურადღება მიეცეს.

ქუთაისი, 11 ოქტომბერს 1873

შადგოლოთ არ ებოვებ შეგატყობინოთ ამბავი, რომელშიაც მდგომარეობს აქციონის საქმე იმერეთში. აი რა არის: აქციონის მმართველობის თავმჯდომარემ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც უნდა დაიბეჭდოს ყოველგან სოფლათ ქვაბები, რომლებიდა დღემდის არაყს ანუ ოტკას ხდიდნენ. ასე უნდა ყოფილიყო, მე ვგონებ. ღდეს მოსამსახურებმა აუსტეს ხელი და ბეჭდის მაგიერათ სულ ერთიანათ ძროები დაუტრეს და სამუდამოთ გაუფუტეს ქვაბები, ასე რომ, ვინიცაა რომელიმე სოფლის მცხოვრებმა რომ შეიძლოს იჯარის გადახდა და გამოხადოს არაყი, ქვაბს ვეღარ იშოვის მთელს იმერეთში. უნდა წარმოიდგინოთ, რომ ქვაბი, რომელიც ძვირ ფასათ ნასყიდი იყო, ისეთ ნაირათ დაჭრილია, რომ არა თუ არაყი ხორციც არ მოიხარშება, და ფასათ უბრალო სპილენძათაც ძალიან ცოტას აძლევს.

გონებ მართებლობამ უნდა მიაქციოს ყურადღება ამ ნაირ ხელქვეითების მოქმედებას, რადგან მათ დამდის დასმის ნება აქვთ და არა სამუდამო ნიეთების გაოხრებისა.

ი. ა.

მზურგეთი, 15 ოქტომბერს 1873

წარსულ კვირაში ჩვენში ერთი შემადარწუნებელი საქმე მოხდა: ერთ სოფლის მოსამართლეს, ღამით, როცა მის სახლელელებას ეძინა, შეუკიდეს სახლის სახურავში ცეცხლი და დასწევს. იმ საწყალს თეინიერ ცოლ-შვილისა არაფერი გადაჩინია. ამან შედგამიძებელმა მოიხმარა თავისი ზომა, მაგრამ ჯერ დამანაშევი პირები არ აღმოჩენილა, და შემდგომ რაიქნება, ვინ იცის. სწორეთ უნდა მოგახსენოთ, რომ თითქმის მოსვენებას არ აძლევს ჩვენს დაბალს ხალხს ამ გვარი ცუდი კაცების სოფლათ ჩუმ-ჩუმათ ძრომა, სახლების ტეხა და ცხენების ქურდობა. როგორც ამბობენ, ამ გვარი კაცების თაბუნი არის შეკრებილი სხვა და სხვა ერისაგან; უბედურება ის არის, რომ ამ გვარ თაბუნს სულ ემატება, რასაკვირველია დაბალი საზოგადოების შეწუხებას და მოუსვენებლობასაც: მზურგეთის საპყრობილიდგან ამ წელში რამოდენიმე ტუსაღები გაიქცენ; იმედია, რომ ყველა იმ სოფლის შემაწუხებელ თაბუნში შეირიცხებდნენ თავს. ამ თვის პირველ რიცხვებში გაიქცენ მზურგეთის სატუსაღოდგან ორი ტუსაღი, რომელთაგანი ერთი იყო მრავალჯერ სატუსაღოს გამტეხი და განაქცევი, აგრეთვე მძიმე დამანაშევი, და მეორეს ბრალი ედებოდა სახლის გატეხაში. — პოლიციამ ამ გაქცეულების დაჭერისათვის ქმნა მიწერ-მოწერა ჯეროვანს ადგილებზე დაუყონებლივ; შემდგომ რამოდენის ხნისა გაგზავნილ იქნენ ჩინოვნიკი, იასაულები და სხვა მოსამსახურეები, რომელნიც გამოუდგენ ტუსაღებს სამი ტროიკებით, ერთ მათგანში იჯდა უმთავრესი მათგანი, ჩინოვნიკი, მეორეშიდ სხვა მოსამსახურეები; მაგრამ სამაწუხაროთ ჩვენდა ისინი ჩამობრუნდნენ მერე ღდეს „ხელ“ ცალიერი,

ამისთვის ემატება ჩვენი დაბალი საზოგადოების შემაწუხებელ ავაზაკების თაბუნს, რომ იმათი დაჭერა ტროიკით არ მოხერხდა. არ ვიცი სხვა ქვეყნებში როგორ იჭერენ ავაზაკებს. ჩვენში ძნელი მოსახერხებელია ეს საქმე, მისთვის რომ ჩვენში ტროიკები გარდა მოკენჭილის გზისა ვერ ივლის.

მიხეილ ლონტი

რუსეთი

— პეტერბურლის უწყებებში სწერენ რომ პეტერბურლში საშინელი წყალ-დიდობა ყოფილა, რომელსაც საშინელი ზიანი მოუტანია ქალაქისთვის. პეტერბურლის, და მიზორის მხარეში, მასილიევის კუნძულზედ ყველა სარდაფები და ქვედა ეტაჟები წყლით ამოვსებულა, ბევრისთვის საქონელი წაურთმევი, ბევრი ღარიბი ხალხი საშინლათ დასაწყობებულან. ამ უბედურობას ის დემატა, რომ იმ ღდეებში ცეცხლი მრავალ ადგილას გაჩნდა. ჯერ კიდევ არარის სრული ანგარიში შედგენილი, მაგრამ ამბობენ 1824 აქეთ ასეთს წყალ-დიდობას პეტერბურლი ჯერ არ მოსწრებიაო. ამნაირი ცუდი ამბავი მოხდარა მრთელი შინაღნდის კიდის გაყოლებაზე. ატლანტის ოკეანეშიაც საშიშარი ღელვა ყოფილა, რამოდენიმე ხომალდი დაუძირავს. ამბობენ 600 კაცზე მეტია დაშხეალიო.

— მოსკოვას უწყებებში იწერებინ, რომ მინისტრების კომიტეტში შეტანილია განსახილველად განცხადება, რომლითაც იმ ყველა ჩინოვნიკებს და სამწროლოების მოსამსახურეებს, რომელნიც სამსახურიდგან იყვნენ გამორიცხულნი, არ შეუძლიათ იადვოკატონ.

— შეველა რუსეთის გაზეთებში, თითქმის ყოველ ნომერში შეხვდებით, რომ აი ამ ქალაქში გაიხსნება საქალბო სასწავლებელი, იქ გაიხსნა, იქ ამდენი და ამდენი ფული შესწირესო, აქ კარგათ მიდის საქმე; ერთი სიტყვით ეს საქმე, როგორც გაზეთებიდან სჩანს, დიდს ღაჯით მიდის წინ. მხლა ცოტა ჩვენს მხარეშიაც მოვიკითხოთ რა ამბავია. ამოდენი ხანია გვესმის მზურგეთში საქალბო უფასო შეკლა იხსნებაო, გავიგონეთ, ვითომც რაღაცა დაარსებულა, (ზოგი კი ექვობს), მაგრამ ჯერ შინც საუფუძელიანად არაფერი დაწყობილა ამის შესახებ. რაც უნდა იყოს, ჩვენ ნათლათ ვხედავთ, რომ თანაგრძობა მზურგეთის საზოგადოებისაგან ძრიელ ცოტა სჩანს. თორემ, როგორც კორრესპონდენტები ამბობენ, ფული შეკრფილია და იკრიფებაო, სახლი არის, სწავლა კი ცუდათ მიდის და მასწავლებელიც უხეიროაო. ამის თაობაზე საზოგადოება არ შეკრებილა, არც არაფერი მოლაპარაკება მომხდარა, ზედამხედველი არ არის გამორჩეული და სხ... თუ კი ფულია და სახლიც, რაღა აკლია, რომ სწავლა კარგათ წავიდეს და კარგ საფუძველზედ სამუდამოთ ეს შეკლა დაარსდეს. ეს სამაწუხარო მოვლინება ჩვენში, რომ საქმეს იდებენ თავზედ და ბოლოს კი არ აძლევენ. ამნაირ შემთხვევებში, ჩვენის აზრით, დიდი თავგანწირულება უნდა ჩნდეს საზოგადოებისაგან და არა ესრეთი უღარდებლობა, როგორც კორრესპონდენტი მოგვითხრობს.

რუსეთი

საზრანგეთი

ღდეს, ოთხშაფათს, დაიწყება მერსალში ნაციონალური კრების სხდომები, და პირველი საქმე, რომელიც კრებამ უნდა გადაწყვიტოს, ის იქნება, თუ რა მმართველობა უნდა არსებობდეს საფრანგეთში, მონარხია თუ რესპუბლიკა. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, აქამდინ დაბრკოლება იმაში მდგომარეობდა, რომ ზოგიერთი მონარხიელები თხოულობდნენ შამბორის გრაფიგან, რომ იმას რამოდენიმე „ლიბერალური“ დაპირება და ნუგეში მიეცა საფრანგეთისთვის,

და შამბორი ამებზე უარს უთხრებდა. შამბორის რამდენჯერმე ფიცით და მტკიცეთ გამოუტყდადებია, რომ ჩემს ღდეში არ ვიცი-ნობ ახალ წესს და ჩვეულებებსო, ჩემს ღდეში ხელიდამ არ გავაგდებ ჩემს თეთრს დრომს, ჩემ წინაპარების სასიქადულო სამკვიდრებელს, და ჩემს ღდეში არ დავემორჩილები იმ აზრებს, რომელიც რევოლიუციამ და ურწმუნოებამ დაჰბადოა. ბევრს იმედი ჰქონდა, რომ შამბორი, როგორც პატიოსანი კაცი, მართლა ასრულებდა იმას, რასაც ასე ხშირათ აცხადებდა. მაგრამ რაკი იმას მონარხიელებმა ახლოდამ დაანახეს საფრანგეთის ტახტი და გვირგვინი, გაქვსთ სიცოცხლე იმან მალე დაივიწყა თავის თეთრი დროშა და ძველი წესი, დაივიწყა „ძღვევა მოსილი ზურბანების სამკვიდრებელი“, მამათ პატივი, „შეციურთ აღნიშვნა“ და სხვა ამისთანა ბოდილი, რომელსაც ამ გვარ შემთხვევებში ხმარობენ ხოლმე, და დაჰლენათ თავი „ახალი წესის და მოთხოვნილების წინ.“

მონარხიელი გაზეთები სწერენ, რომ შამბორმა „სამ ფე რ ო ე ა ნ ი დ რ ო შ ა“ მიიღო. ჩვენთვის, რასაკვირველია, სრულებით უმნიშვნელია, სამფროვანი დროშა ექნება საფრანგეთის კაროლს, თუ თეთრი, მწვანე თუ შავი. მაგრამ საფრანგეთისთვის და მის ხალხისთვის კი ეს დროშის ფერი ბევრს რასმეს ნიშნავს. აი რას ნიშნავს, მაგალითად, შამბორის მხრით სამფროვანი დროშის მიღება: სამფროვანი დროშის ქვეშ თავი მოჭრეს მის წინაპარს ლუი მეთექვსმეტეს, მისი ცოლით და შვილითურთ. სამფროვანი დროშის ქვეშ დახვრიტეს შამბორის მე.არე წინაპარი მნგინის გერცოგი. სამფროვანი დროშის ქვეშ ჩამოიყვანეს ტახტიდამ და სამზღვარს გარეთ გაისტუმრეს ბაბუა მისი შარლე მეათე. მსევე სამფროვანი დროშა გაშლილი იყო იმ ციხის კოშკზე, სადაც დაატუსაღეს შამბორის ღედა ბერიის მთავრინა, რომელიც ამ ციხეში, თუმც ქერიე იყო, მაგრამ შინც ლოგინათ დაწვა... ამავებს და ბევრს ამისთანა უსიამოვნოს და შეურაცხ-მყოფელს მოგონებას მოასწავებს შამბორისთვის სამფროვანი დროშა, და მისი მიღება იმას ნიშნავს, რომ შამბორს საქებ საქმეთ მიანიხნა ყველა ფერი, რაც კი ამ სამფროვანი დროშის ქვეშ მომხდარა. და თუ იმას, მაგალითად, საქებ საქმეთ ის მიანიხნა, რომ შარლე მეათე საფრანგეთიდან გააგდეს, თეთრონ რაღათ ბრუნდებო, რა საფუძელის ან სიმართლის ძალით გადის იმ ტახტზე, რომელიც სამფროვანმა დროშამ დაანგრია?

მა კიდევ არაფერი. რა ნდობა უნდა ჰქონდეს საფრანგეთის ხალხს იმ კაროლის, რომელიც ოცდა ათი წლის განმავლობაში იძახოდა: ჩემს პრინციბებს, ჩემს დროშას, ჩემს რწმუნებას და აზრებს არ დაუტოვებ, რევოლიუციის თითოეულ აზრს, თითოეულ საქმეს ეებრძვი და არ ვიცი-ნობო, და რომელიც უეცრათ თავის პატიოსან სიტყვას, თავის აღთქმას, ფიცს, და რწმუნებას იგიწყებს, უარ-ჰყოფს, უკუაგდებს, ოღონდ კი რამე ნაირათ შეფროთხდეს საფრანგეთს ტახტზე? რა ზნეობითი გავლენა უნდა ჰქონდეს ამისთანა კაროლს იმისთანა ხალხზე, როგორიც ფრანკუზებია? ამას მრავალი გვიჩვენებს. მხლა კი ამას ის მეორე მხარე უნდა დაუმატოთ, რომ შამბორი მეორე მხრითაც ამგვარივე „პატიოსნებით“ იხატება. ის აცხადებდა, რომ მართო მამინ დაებრუნდები საფრანგეთში, როცა საფრანგეთის ხალხი მომიხმობს, როცა ის მე კაროლათ მიცნობსო. ამ უკანასკნელი ორი

